

იუმორი , იდეოლოგია და პოსტმოდერნისტული პროზა

(ფრედერიკ ბეგბედერის „99ფრანკის“ და რეზო ჭეიშვილის „ცისფერი მთების“ მიხედვით)

სოფიკო შელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო შელია

თარიღი: 27.06.2016

მადლობა

ზემოაღნიშნული ნაშრომის მომზადებისას მუდმივ კონსულტაციებს მიწევდა ქ-ნი ბელა წიფურია, რომელიც მითითებდა ლიტერატურას, მაძლევდა შენიშვნებს და მეხმარებოდა მათ გამოსწორებაში. გაწეული დახმარებისათვის დიდი მადლობას ვუხდით მას.

დიდ მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებს მაგისტრატურაში სწავლის წლებში ჩვენთვის გადმოცემული ცოდნისათვის და გულისხმიერებისათვის.

აბსტრაქტი

წინაპირობა: ნაშრომის თემატიკას წარმოადგენს იუმორის და იდეოლოგიის გავლენა და როლი პოსტმოდერნისტულ პროზაში, კერძოდ ფრედერიკ ბრეგბედერის რომანი *99 ფრანკი* და რეზო ჭეიშვილის რომანი *ცისფერი მთები*.

მეთოდოლოგია: დასმულ ამოცანაზე მუშაობა წარიმართა კვლევის მეთოდით. სხვადასხვა ლიტერატურაზე დაყრდნობით ჩვენ ვიკვლიეთ დასახელებული რომანები *99 ფრანკი* და *ცისფერი მთები*.

შედეგები: აღნიშნულმა კვლევამ დაგვანახა, თუ რა მახასიათებლები აქვს პოსტმოდერნისტულ რომანებს და როგორ იყენებენ ავტორები თვითნებ კალამს რეალობის საჩვენებლად. რეზო ჭეიშვილი თავისი იუმორით ცდილობს არსებული რეალობა შეფარვით დაგვანახოს, ბრეგბედერი კი პირდაპირ და დაუფარავად გვიხატავს.

დასკვნა: ნებისმიერ იდეოლოგიასთან ბრძოლა, თავისუფალი სიტყვა, კვლავაც რჩება ცენტრალურ პრობლემად პოსტმოდერნისტულ პროზაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იდეოლოგია, რეკლამის იდეოლოგია, პოსტმოდერნისტული პროზა, ქართული პოსტმოდერნიზმი

Abstract

Prerequisite: The theme of the work is the role of humor and ideology to postmodernistic prose, particularly to Fredrik Bregbeder's novel-"99 francs" and the novel "Blue mountains" by Rezo Cheishvili.

Methodology- The work about this problem was held by the research method. We analyzed the novels- "99 francs" and "Blue mountains" based on different literature.

Results: The research, we indicated above showed us what specifications have the postmodernistic novels and how are the authors showing us the reality. If Rezo Cheishvili tries to show reality secretly, with his humor, Bregbeder says everything openly.

Conclusion: Free word and fighting against any ideology is a central problem in postmodernistic prose.

The main words: Ideology, Postmodernistic prose, The Georgian postmodernism.